**მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად**

**საქართველო**
**კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი**
**პროექტის N P173782**
**სესხის N 9361-GE**
**დავალების დასახელება: ინდივიდუალური კონსულტანტი განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შესაბამისობის ანგარიშის მოსამზადებლად**
**კონტრაქტის ნომერი: KCIP/CS/ICS-13**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს, გამოხატონ ინტერესი **განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შესაბამისობის ანგარიშის მომზადების მიზნით.**

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს ზემოხსენებულ ინფორმაციას.

**დავალების მიზანია:**

- განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების დამოუკიდებელი შეფასება და მისი შესაბამისობის დადასტურება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან (ESS5), დამტკიცებული RAP-თან, მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასა და პროექტთან დაკავშირებული შეთანხმებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
- დადასტურება, რომ კომპენსაციისა და დახმარების ყველა შესაბამისი ღონისძიება სრულად, ჩანაცვლებითი ღირებულებით (სადაც ეს გამოიყენება) და დაზარალებულ აქტივებსა და მიწაზე.
- შეფასება, განხორციელდა თუ არა საარსებო წყაროების აღდგენისა და მხარდაჭერის ღონისძიებები (მათ შორის, მნიშვნელოვნად დაზარალებული და მოწყვლადი ოჯახებისთვის) და რამდენად ეფექტიანია ისინი.
- საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ფუნქციონირებისა და ეფექტიანობის შეფასება, მათ შორის მისი ხელმისაწვდომობის, დროულობის, გამჭვირვალობისა და მიღებული გადაწყვეტილებებით კმაყოფილების თვალსაზრისით.
- დადასტურება, რომ კონსულტაციის, ინფორმაციის საჯაროობისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის ვალდებულებები შესრულებულია და დაზარალებულ

პირებს მიეწოდათ სათანადო ინფორმაცია (მათ შორის GRM-ისა და მათ მიერ ხელმოწერილი შეთანხმებების შესახებ).

- RAP-ის შესაბამისობის ანგარიშის მომზადება, რომელშიც შეფასდება, განხორციელდა თუ არა RAP დამაკმაყოფილებლად, ხოლო შეუსაბამობების არსებობის შემთხვევაში განისაზღვრება გამოვლენილი ხარვეზები და შემუშავდება პასუხისმგებელი მხარეებისა და შესრულების ვადების მითითებით მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმა (Corrective Action Plan – CAP).

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

https://www.dropbox.com/scl/fo/zs6rm5kpt88d3ru1qop6r/AM1zHwI_bSt-8_Gl8adhzlM?rlkey=uuu4z9mdvuef7kjk9kqsowv3v&st=eg55dj1z&dl=0

**კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF), კერძოდ ESS5-ის (ან ეკვივალენტური მოთხოვნების) ფარგლებში განსახლების დაგეგმვის, განხორციელების მონიტორინგისა და შესაბამისობის შეფასების მიმართულებით.
- მიწის შესყიდვისა და განსახლების პროცესების შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტებისა და შეფასებების ჩატარების დადასტურებული გამოცდილება.
- გამოცდილება კვლევის დიზაინის, სტატისტიკური შერჩევისა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასების მიმართულებით.
- საქართველოში საველე სამუშაოების ჩატარებისა და ანგარიშების ინგლისურ და ქართულ ენებზე მომზადების დადასტურებული გამოცდილება და შესაძლებლობა.

დავალების ხანგრძლივობაა 8 კვირა. კონსულტანტის ანაზღაურება იქნება ფიქსირებული (Lump-Sum).

*<u>საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს ის შეფასების მიზნებისთვის.</u>*

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის „შესყიდვების რეგულაციები სესხის ამღებთათვის“ 2025 წლის სექტემბერი, მეშვიდე გამოცემა (შესყიდვების რეგულაციები) მე-3 ნაწილის 3.14, 3.16 და 3.17 პარაგრაფებზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. დამატებით, გთხოვთ იხილოთ შემდეგი სპეციფიკური ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ამ დავალებისთვის: კონსულტანტმა დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურება უნდა მიიღოს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტანტების ღია საკონკურსო შერჩევის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელექტრონულ ფოსტაზე: info@georoad.ge .

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიასთან (CV) ერთად დაბეჭდილი სახით ან ელექტრონული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2026 წლის 20 აგვისტოს 18:00 საათისა.**

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სალომე წურწუმია,დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი #12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge